C-C-E-H Hydro VI LLC
შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI
2 Leonidze st, 2F
Tbilisi, Georgia 0105
www.cceh.ge
Tel: +995 32 224 4990

25 მარტი, 2021 წ.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ტექნიკურ დირექტორს

ბატონ ირაკლი ნაფეტვარიძეს

ბატონო ირაკლი,

გაცნობებთ, რომ შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ გურიის რეგიონში ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მდ. ბახვისწყალზე გეგმავს, 12 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ბახვი 1 ჰესი“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

მოგახსენებთ, რომ 2020 წლის, 21 აგვისტოს საქართველოს მთავრობასა (რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ) და კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულბა, პროექტთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოების (კვლევების) ჩატარების თაობზე.

გთხოვთ, წერილობით მოგვაწოდოთ ინფორმაცია რა მანძილით არის დაშორებული თქვენი არსებული/საპროექტო ინფრასტრუქტურა ჩვენს მიერ დაგეგმილი პროექტის ტერიტორიიდან და ხომ არ ხდება რაიმე სახის გადაფარვა თქვენი კომპანიის მიერ დაგეგმილ წყალსადენ-წყალარინების რეაბილიტაცია/განაშენიანების პროექტსა და ჩვენს მიერ დაგეგმილ ბახვი 1 ჰესის პროექტს შორის.

დანართის სახით .dwg ფორმატში წარმოგიდგეთ ბახვი 1 ჰესის პროექტის სქემას (სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი, ჰესის შენობა) ტოპოგრაფიულ რუკაზე UTM კოორდინატთა სისტემაში.

დანართი: ბახვი 1 ჰესის პროექტის სქემის ელექტრონული ვერსია CD დისკზე.

პატივისცემით,

მიხეილ ნიბლაძე



შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის

დირექტორი